

<p align="center">“კომპიუტერები ყველას” თიბისი ბანკის განვადებით</p> <p align="center"><i>პრესრელიზი</i></p> <p><i>თბილისი, 18 ოქტომბერი, 2010</i> - თიბისი ბანკი ჩაერთო პროექტში „კომპიუტერები ყველას“ და მომხმარებელს უპრეცედენტო დაბალ საპროცენტო განაკვეთსა და ექსკლუზიურ პირობებს სთავაზობს. დღეიდან, პროექტის ფარგლებში კომპიუტერის შეძენის მსურველებს, შეუძლიათ ისარგებლონ თიბისი ბანკის განვადებით და მინიმალური დანახარჯებით შეიძინონ, მაქსიმალურად მაღალი ღირებულების კომპიუტერული პროდუქცია.</p> <p>პროექტის „კომპიუტერები ყველას“ ხელშეწყობის მიზნით, თიბისი ბანკმა მინიმუმამდე შეამცირა წლიური საპროცენტო განაკვეთი და შეიმუშავა განვადების სპეციალური პირობები, რომლებიც მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენისთვის არის განკუთვნილი. კერძოდ, პროექტის ფარგლებში, ბანკი განვადებას გასცემს, როგორც სტაბილური სამუშაო ადგილის მქონე, ასევე თვითდასაქმებულ მომხმარებელზე, რაც იმას ნიშნავს რომ თიბისი ბანკის განვადებით, კომპიუტერები უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.</p> <p>თიბისი ბანკის განვადებით კომპიუტერების შეძენა შესაძლებელია მაღაზიებში ალტა და ალგორითმი, შემდეგი პირობებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • განვადების მაქსიმალური მოცულობა - 3 000 ლარი • თანამონაწილეობის თანხა - 0% - დან • განვადების ვადა - 3 დან 24 თვემდე <p>განვადება გაიცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე, სულ რაღაც 10 წუთში!</p> <p>მაგალითად: თუ თქვენ მიერ არჩეული კომპიუტერის ფასია 633 ლარი და გსურთ მისი შეძენა თიბისი ბანკის 2 წლიანი განვადებით, 0%-იანი თანამონაწილეობით, თქვენი ყოველდღიური გადასახადი იქნება მხოლოდ 1 ლარი და 23 თეთრი. ხოლო ჯამურად 2 წლის შემდეგ, თქვენ მიერ გადახდილი თანხა შეადგენს 902 ლარს.</p>	<ul style="list-style-type: none"> ◆ ფიზიკური პირების მომსახურება; ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება; ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება; ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა; ◆ ტიღერი დეპოზიტების ბაზარზე ◆ ტიღერი ტექნოლოგიურ სერვისებში; ◆ ეობრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში; ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში; ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე; ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა; ◆ FitchRatings: B + and B ◆ Moody's: B 3 and Ba 1
--	--

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.